³ Official Journal of the European Union, REGULATION (EU) 2016/679 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016R0679>

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, მუხლი 15, იხ. ლინკი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

ზემოთ აღნიშნული ნორმის სულისკვეთებას ქართულ კანონმდებლობაში მრავალი აქტი განამტკიცებს, მათ შორისაა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი⁵, რომელიც ადგენს სტანდარტებს პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესში ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის მიზნით. თუმცადა საყურადღებოა, რომ მხოლოდ სამართლებრივი სტანდარტების არსებობა არ არის საკმარისი პერსონალური მონაცემების სრულყოფილად დასაცავად. როგორც უკვე სტატიის შესავალ ნაწილში აღინიშნა, XXI საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სწორედ ხელოვნური ინტელექტის მიერ პერსონალური მონაცემების მართლზომიერი მოპოვება, შენახვა, დამუშავება და მესამე პირათვის გადაცემა წარმოადგენს⁶. ხელოვნური

⁵ საქართველოს კანონი, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, 14/06/2023, <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5> ობ. ლინკი

⁶ CDDH-IA (2025) 1 REV, Steering Committee for Human Rights (CDDH), [DRAFT] Handbook on human rights

ინტელექტი სამუშაოს შემსუბუქების, ინფორმაციის სწრაფად, ეფექტურად მოპოვებისა და გენერირების მიზნით დანერგილია მრავალ სფეროში, როგორებიცაა: სოციალური მედია, განათლება, საბანკო სექტორი და სხვა. ყოველდღიურად მრავალი გადაწყვეტილების მიღებისას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ხდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, მაგალითად მეტწილად დანერგილია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სესხის დამტკიცების, ვაკანტურ პოზიციაზე განაცხადის გადარჩევის ან მომსახურების შეფასებისას⁷. რა თქმა უნდა, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას ხელოვნური ინტელექტი ახორციელებს მონაცემთა ავტომატურ ან ნახევრად ავტომატურ დამუშავებას. აღნიშნული გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა ანალიზს, პროფაილინგს და კონკრეტული კრიტერიუმის საფუძველზე მათ გადარჩევას გადაწყვეტილების მიღების

and artificial intelligence Chapters I, II and III, 2025, p. 9

⁷ იბ. იქვე

მიზნით. აღნიშნული პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მონაცემთა სუბიექტები პირდაპირი გზით აწვდიან ხელოვნურ ინტელექტს თავიანთ პერსონალურ ინფორმაციას (სახელი, გვარი, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, დაავადების სიმპტომები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები და სხვა). ხელოვნური ინტელექტი აქტიურად გამოიყენება, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში.⁸ ამდენად, ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი, როგორც მონაცემების გენერირების ეფექტური საშუალება გამოიყენება სოციალური ურთიერთობის ყველა სფეროსა და სექტორში, შესაბამისად პრობლემატურია, ამ უკანასკნელის მიერ

⁸ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი - IDFI, ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენება საქართველოში, კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბ, 2021, გვ.37, იხ. ლინკი <https://idfi.ge/public/upload/Article/AI%20ENG%20FULL.pdf>

მონაცემთა მოპოვების, დამუშავების, შენახვის, მესამე პირთათვის გადაცემის საკითხები.

1.1 გამჭვირვალობისა და ინფორმირებულობის პრობლემა

როგორც უკვე აღინიშნა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია სასურველი შედეგის შემჭიდროვებულ ვადებში მიღება. თუმცადა საგულისხმოა, რომ ძირითად შემთხვევაში მონაცემის სუბიექტისათვის არ არის ცნობილი ის სამართლებრივი მდგომარეობა (მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა), რომელზეც თანხმობას გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მომქედებით ადასტურებს. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation GDPR)⁹ თანახმად,

⁹ Official Journal of the European Union, REGULATION (EU) 2016/679 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016R0679>

პერსონალურ მონაცემებზე დაშვებისას მნიშვნელოვანია სუბიექტმა იცოდეს რა მონაცემებს აგროვებს მონაცემთა დამმუშავებელი (აღნიშნულ შემთხვევაში - ხელოვნური ინტელექტი) და რა ვადით ინახავს მას, აგრეთვე სად ან ვის მიერ ხდება განდობილი პერსონალური მონაცემების ბაზის წარმოება; როგორ ამუშავებს და რისთვის იყენებს მიღებულ ინფორმაციას; წინასწარვე უნდა ჰქონდეს სუბიექტს ინფორმაცია შემდგომში მონაცემების შესწორების, წაშლის ან დაბლოკვის მოთხოვნის უფლების შესახებ. მონაცემთა სუბიექტს დროულად უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ რა რისკებთან არის დაკავშირებული ხელოვნური ინტელექტის მიერ არამართლოზმიერად მონაცემთა დამმუშავება¹⁰.

¹⁰ European Data Protection Supervisor, TechDispatch #2/2023 - Explainable Artificial Intelligence, 16 November, 2023, https://www.edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/techdispatch/2023-11-16-techdispatch-22023-explainable-artificial-intelligence_en

ერთის მხრივ, პრობლემატურია, როგორც პერსონალური მონაცემების მართლზომიერი დამუშავება ხელოვნური ინტელექტის მიერ, აგრეთვე მეორეს მხრივ, მართლზომიერი დამუშავების პირობებში მიღებული მონაცემების ბოროტად გამოყენების საკითხი. ხელოვნური ინტელექტის მიერ დამუშავებული მონაცემები შეიძლება სხვადასხვა გზით იქცეს საფრთხედ, ესენია:

- დეზინფორმაცია და მანიპულაცია, ბიომეტრიული მონაცემების ბოროტად გამოყენება - ხელოვნური ინტელექტის ალგორითმს შეუძლია პერსონალური მონაცემების აუდიო, ფოტო-ვიდეო მასალის გენერირებით შექმნას ყალბი მონაცემი ე.წ. deepfake;
- დისკრიმინაცია - მაგ: საკრედიტო მონაცემების შეფასების ან რეკრუტინგისას არასათანადო კრიტერიუმებით გადარჩევა ხელოვნური ინტელექტის მიერ;

- კიბერუსაფრთხოების პრობლემები - არასათანადოდ დაცული პერსონალური მონაცემები შესაძლოა გავრცელდეს მესამე პირთან.

საკითხების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 30 ადამიანი. გამოკითხულთა 97,5% მიმართავს ხელოვნურ ინტელექტს. 56.2% კვლევისას აღიარებს, რომ მიუწოდებია სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემი (სახელი, გვარი, მისამართი, ფოტო/ვიდეო მასალა, აუდიო ჩანაწერი) ხელოვნური ინტელექტისათვის. სუბიექტთა 62.5% აცხადებს, რომ არ გაცნობია ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკას პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. შესაბამისად მონაცემთა სუბიექტებში ინფორმაციის ნაკლებობა ზრდის რისკებს პერსონალური მონაცემების არამართლზომიერად შენახვის, დამუშავების, მესამე პირათვის გადაცემის თვალსაზრისით. ამდენად, მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს

ცოდნა იმის შესახებ თუ ვის მიერ და რა პროცედურების დაცვით ხდება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება, შენახვა ან/და მესამე პირთათვის გადაცემა. პროცესის გამჭვირვალობა გამოკვეთს ანგარიშვალდებულ პირს და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს არამართლზომიერად ან/და არათანაზომიერად პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში.

ზემოთ ხსენებული გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია არამხოლოდ საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე იმპლემენტაცია, არამედ პრაქტიკული მოქმედებების განხორციელება. აღნიშნულის განხორციელებისათვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეიმუშავა 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგია¹¹. აღნიშნული აქტი განსაზღვრავს იმ ძირითადად

¹¹პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგია, 2025 წ. გვ.10-22. იხ. ლინკი <https://shorturl.at/U043b>

სამართლებრივ და პრაქტიკულ კომპონენტებს, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას რისკების მინიმალურ დონემდე შემცირებას.

1.2 ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

2024 წელს ევროპის კავშირის მიერ მიღებულ იქნა რეგულაცია Artificial Intelligence Act¹², რომელიც ხელოვნური ინტელექტის შესახებ ერთიან მოწესრიგებას აყალიბებს. ზემოთ ხსენებული სამართლებრივი აქტი არის ხელოვნური ინტელექტის შესახებ მსოფლიოში პირველი ყოვლისმომცველი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

¹² REGULATION (EU) 2024/1689 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, of 13 June 2024 laying down harmonised rules on artificial intelligence and amending Regulations (EC) No 300/2008, (EU) No 167/2013, (EU) No 168/2013, (EU) 2018/858, (EU) 2018/1139 and (EU) 2019/2144 and Directives 2014/90/EU, (EU) 2016/797 and (EU) 2020/1828 (Artificial Intelligence Act), იხ. ლინკი https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ%3AL_202401689

რომლის მიზანია ევროპის მასშტაბით დაცული და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის დანერგვა/განვითარება. იქიდან გამომდინარე, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას გადაცემული პერსონალური მონაცემი შესაძლოა უკანონოდ დამუშავდეს ან/და ბოროტად იქნეს გამოყენებული ევროპის კავშირი ადგენს ცალკეულ აკრძალვებს:

- აკრძალულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მანიპულაცია (deepfake).
- ხელოვნურ ინტელექტის მიერ შექმნილი პროდუქტით პროპაგანდის წარმოება, მასებზე მანიპულირება;
- სოციალური კვლევის ჩატარება;
- სისხლის სამართლის დანაშაულის რისკის შეფასება ან პროგნოზირება;
- ინტერნეტში გავრცელებული მასალის ან ვიდეოთვალთვალისას მიღებული მონაცემების არამიზნობრივი სკრაპინგი, სახის ამოცნობის

მონაცემთა ბაზების შესაქმნელად ან გაფართოების მიზნით;

- ემოციების ამოცნობა სამუშაო ადგილებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ბიომეტრიული მონაცემების კატეგორიზაცია გარკვეული დაცული მახასიათებლების დასადგენად;
- რეალურ დროში, საჯარო სივრცეებში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ბიომეტრიული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მიზნების უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

ამდენად, ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება ფაქტობრივი თვალსაზრისით, დადებითად აისახება საზოგადოებისა და კონკრეტული

ინდივიდის ცხოვრების ხარისხზე. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით გამარტივდა სამედიცინო დიაგნოსტიკა, დროისა და ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, ეფექტური გახდა ცალკეული სერვისები, განვითარდა განათლების სფერო, გაიზარდა ხელმისაწვდომობა მონაცემებსა თუ ინფორმაციაზე, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელი მიზნების რეალიზებისათვის ხელოვნური ინტელექტი ამუშავებს დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემებს მნიშვნელოვნად იზრდება ცალკეული რისკები.

ხელოვნური ინტელექტის დინამიკური განვითარების მიმართ არსებული სამართლებრივი ჩარჩოები, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო დონეზე არ არის ეფექტური. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოება და ინდივიდი არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების ეფექტურობაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების

გათვალისწინება: საკანონმდებლო დანაწესების დინამიკურად განახლება და ტექნოლოგიურ სიახლეებთან მისადაგება. დანაწესთა ეფექტური მოქმედებისათვის აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა დინამიკურად განვითარდეს. ამ მიზნით სახელმწიფო უწყებებმა უნდა შეისწავლონ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკა და განახორციელონ მისი იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში. სამართლებრივი ნორმების დახვეწასთან ერთად კარდინალურად მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტების ცნობიერების ამაღლება. უნდა გაიზარდოს შემეცნებითი/საგანმანათლებლო პროექტების ოდენობა, რომლებიც ორიენტირებული იქნება სამიზნე აუდიტორიისათვის ხელოვნური ინტელექტის რისკების გაცნობაზე. სახელმწიფომ უნდა შექმნას სპეციალური დანაწესები როგორც კერძო ასევე საჯარო ორგანიზაციებისათვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას მონაცემთა დამუშავების პროცესის

გამჭვირვალობის უზრუნველყოფად. მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას ეთიკური სტანდარტების დანერგვისა და გამდიერებისაკენ. ყოველივე ზემოთ ხსენებულის განხორციელება უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას და არსებული რისკების მინიმიზაციას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, მუხლი 15, იხ. ლინკი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. საქართველოს კანონი, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, 14/06/2023, იხ. ლინკი <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5>

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) 2026-2028 წლების სამოქმედო სტრატეგია, 2025 წ, გვ.10-22. იხ. ლინკი <https://shorturl.at/U043b>
4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი - IDFI, ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენება საქართველოში, კანონმდებლობა და პრაქტიკა, თბ, 2021, გვ.37, იხ. ლინკი <https://idfi.ge/public/upload/Article/AI%20ENG%20FULL.pdf>
5. REGULATION (EU) 2024/1689 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL, of 13 June 2024 laying down harmonised rules on artificial intelligence and amending Regulations (EC) No 300/2008, (EU) No 167/2013, (EU) No 168/2013, (EU) 2018/858, (EU) 2018/1139 and (EU) 2019/2144 and Directives 2014/90/EU, (EU) 2016/797 and (EU) 2020/1828 (Artificial Intelligence Act), იხ. ლინკი

https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=OJ%3AL_202401689

6. Official Journal of the European Union, REGULATION (EU) 2016/679 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation),
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016R0679>
7. ECHR, Council of Europe, European Convention on Human Rights, France, p.11,
https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_ENG
8. B.J. Copeland, Methods and goals in AI, Britannica, 26 November, 2025,
<https://www.britannica.com/technology/artificial-intelligence/Methods-and-goals-in-AI>

9. CDDH-IA (2025) 1 REV, Steering Committee for Human Rights (CDDH), [DRAFT] Handbook on human rights and artificial intelligence Chapters I, II and III, 2025, p. 9
10. European Data Protection Supervisor, TechDispatch #2/2023 - Explainable Artificial Intelligence, 16 November, 2023, https://www.edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/techdispatch/2023-11-16-techdispatch-22023-explainable-artificial-intelligence_en

Definition of Personal Data and Legal Standards for Its Protection

Maka Papashvili

Head of the Legal Support Service of the NEU National Pedagogical University,
mpapashvili@neu.edu.ge

Abstract

In the 21st century, the rapid development of technologies has undoubtedly had a positive effect on improving the quality of human life; however, at the same time, it has created significant challenges. It is noteworthy that one of the most important issues in the use of artificial intelligence is the effective protection of personal data. Artificial intelligence is a system of algorithms capable of making certain decisions, performing tasks, and more, based on the generation of information in accordance with specific instructions.

The main goal of creating artificial intelligence is to ensure the efficient execution of individual actions while minimizing resource usage. AI is entirely dependent on the data provided by humans, such as audio/video materials, textual data, photographs, and any other information that can be used to identify natural persons. As noted above, during various activities, people provide personal data to artificial intelligence; however, most of the time, they lack adequate knowledge about who has access to the received data, how their information is processed, stored, transferred to third parties, and more.

For the purpose of thoroughly studying this issue, the present article provides a detailed analysis of the challenges related to the protection of personal data in the use of artificial intelligence. The paper also discusses both national and international regulations concerning artificial intelligence and clearly highlights the existing challenges. Finally, the concluding section sets out practical and legal recommendations, the consideration of which will help reduce existing risks.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში ლაშა კანთელაშვილი¹ გიორგი ჩხიკვიშვილი²

¹ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი lashakantelashvili@neu.edu.ge

²ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი gchkhikvishvili@neu.edu.ge

აბსტრაქტი

საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს რთული და მრავალფეროვანი ინფორმაციის ანალიზს, რისკების შეფასებას და პროგნოზირებას. ხელოვნური ინტელექტის როლი და მისი გამოყენება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სიახლეა და საჭიროებს კვლევას. არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ძალაუფლების შენარჩუნებასა და მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული, რაც შეესაბამება ნიკოლო მაკიაველის მსოფლმხედველობას.¹³

სამეცნიერო სტატიების შექმნის და გამოქვეყნების პროცესს ხშირად წლები სჭირდება, რის შედეგადაც სამეცნიერო ლიტერატურა

¹³ Carlos Vera Hoyos and William Orlando Cárdenas Marín, “The Use of Artificial Intelligence in Political Decision-Making,” *Philosophies* 10, no. 5 (2025): 95, <https://doi.org/10.3390/philosophies10050095>.

გამოქვეყნების მომენტში ხშირად უკვე მოძველებულია. საპირისპიროდ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელს ხდის ინფორმაციის სწრაფ გავრცელებასა და ცოდნის მუდმივ განახლებას, რაც ამცირებს იმ დროით ჩამორჩენას, რომელიც ტრადიციულ სამეცნიერო პუბლიკაციებს ახასიათებთ. წინამდებარე კვლევის მიზანია საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლო უპირატესობებისა და ნაკლოვანებების წარმოჩენა თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილის შედეგად. ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რა უპირატესობები და რისკები აქვს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში? რელიეფურად გამოიკვეთა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ ჯერ ვერ ჩაანაცვლა ტრადიციული საგარეო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესი, მას აქვს ბევრი უპირატესობა, თუმცა შეიცავს რისკებს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; საგარეო პოლიტიკა; საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები;

შესავალი

ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ორგანოები აქტიურად ნერგავენ ხელოვნურ ინტელექტს (AI) საკვანძო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. 21 საუკუნეში ინფორმაციის ფლობა, გენერირება და მასზე წვდომა

წარმოადგენს „ციფრული ეპოქის ნავთობს.“¹⁴ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტი შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: AI, როგორც დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები, ერთგვარი „ვირტუალური პოლიტიკოსი“ და 2. პროცესში დამხმარე, მხარდამჭერი.¹⁵

სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების, სახელმწიფოთა მიერ რისკების შეფასების, ალიანსების შექმნის და კრიზისებთან გამკლავების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუ ძველად კრიტიკულად მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების ძიებასა და სახელმწიფოს მშენებლობის და მისი ეროვნული ინტერესების დაცვაში მთავარ როლს სახელმწიფო მოღვაწეები და გამოცდილი დიპლომატები ასრულებდნენ, არსებულ რეალობაში ხდება „დიდი

¹⁴ The Economist, “The World’s Most Valuable Resource Is No Longer Oil, but Data,” 2017, <https://shorturl.at/3jdsL>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.11.2025.

¹⁵ Saeed Mirahmadi and Ali Omid, “Applications of Artificial Intelligence in Foreign Policy Decision-Making: Capacities and Challenges,” Political Strategic Studies, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.11.2025, <https://shorturl.at/C1LBz>.

ენობრივი მოდელების“ (LLMs — Large Language Models) ინტეგრირება და გაწვრთნა, რათა მათი ტექნიკური შესაძლებლობებით მოვიდნენ სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან შესაბამისობაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (CSIS) მიერ განხორციელებულ კვლევაში „კრიტიკული საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში ხელოვნური ინტელექტის მიკერძოებები“ შემუშავდა ოთხი ცვლადი: სამხედრო ესკალაცია; სამხედრო და ჰუმანიტარული ესკალაცია; საერთაშორისო სისტემაში თანამშრომლობაზე ორიენტირებული ქცევა; და ალიანსების (კავშირების) დინამიკა; სადაც 400 ექსპერტის მიერ შემუშავებული სცენარები გაიტესტა შვიდ წამყვან ფუნდამენტურ მოდელში - Llama 3.1 8B Instruct, Llama 3.1 70B Instruct, GPT-4o, Gemini 1.5 Pro-002, Mixtral 8x22B, Claude 3.5 Sonnet და Qwen2 72B.¹⁶ შედეგების

¹⁶ Benjamin Jensen, Ian Reynolds, Yasir Atalan, Michael Garcia, Austin Woo, Anthony Chen, and Trevor Howarth, “AI Biases in Critical Foreign Policy Decisions,” Commentary, Center for Strategic and International Studies (CSIS), February 26, 2025, <https://arxiv.org/abs/2503.06263>.

ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები მოდელების რეკომენდაციებს შორის. Qwen2 72B, Gemini 1.5 Pro-002 და Llama 3.1 8B Instruct მოდელებმა აჩვენეს უფრო მეტად ესკალაციაზე ორიენტირებული რეკომენდაციები, ვიდრე Claude 3.5 Sonnet და GPT-4o მოდელებმა.¹⁷ ყველა მოდელმა სახელმწიფოების მიმართ სპეციფიკური, მიკერძოებული პრეფერენციები გამოავლინა. მაგალითად: შედარებით ნაკლებად ელკალაციასა და აგრესიაზე ორიენტირებული მიდგომები რუსეთისა და ჩინეთის მიმართ, ვიდრე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიმართ.¹⁸ აღნიშნული თეზა, თავის მხრივ, მაღალი რისკის შემცველია, რადგან ხელოვნური ინტელექტის მიკერძოებულმა მიდგომებმა შესაძლოა დესტრუქციულად იმოქმედოს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. შედეგად: „ყველა მოდელი ცდება, მაგრამ ზოგიერთი სასარგებლოა“.¹⁹ მაგალითისთვის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აქტიურად იყენებს StateChat -ს, თავდაცვის დეპარტამენტი NIPRGPT -სა და CamoGPT -ს, რასაც შესაძლოა

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე <https://www.csis.org/analysis/ai-biases-critical-foreign-policy-decisions>.

დაემატოს ChatGPT Gov -ის გამოყენება, რაც დაანონსებულია და სპეციალურად სამთავრობო სტრუქტურებისთვის იქმნება, თუმცა ზემოთ ნახსენები კვლევის მიხედვით ხშირ შემთხვევაში მიკერძოებულ შეფასებებს აკეთებენ და შესაძლოა მათ შეცდომაში შეიყვანონ ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ლიდერები.²⁰

ამავე კვლევაზე დარდნობით, სადაც დაიტესტა ხელოვნური ინტელექტის მოდელები საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტების მიერ შექმნილი 400 სცენარისა და 60,000-ზე მეტი კითხვისა და პასუხის წყვილის წინააღმდეგ, აღმოჩნდა, რომ AI მოდელებმა კრიზისულ სიტუაციებში გამოავლინეს ტენდენცია ესკალაციისკენ.²¹ შესაბამისად, მსგავსი ტენდენცია ზრდის შეცდომის დაშვების ალბათობას და შესაძლოა არმოჩნდეს კონფლიქტურ სიტუაციებში აგრესიის გამოვლენის ფაქტორი.²²

ხელოვნური ინტელექტის მოდელებში პრობლემურია თანამშრომლობასა და დიპლომატიურ ძალისხმევაზე

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² იქვე.

ორიენტირებაც. AI მოდელებს არ აქვთ უნარი სწორი და დროული პროგნოზის გაკეთების, როდესაც საქმე ეხება დროის მცირე მონაკვეთში „ხელისუფლების ცვლილებას, მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოვლენებს და ეროვნული ინტერესების ცვლილებას“.²³

ხელოვნური ინტელექტის გამოთვლითი შესაძლებლობები გვაძლევს საგარეო პოლიტიკის სცენარების დატესტვის და „დახვეწილი მოდელირებისა და სიმულაციების“²⁴ შემუშავების შესაძლებლობას, რაც „ზრდის სიტუაციურ ცნობიერებას, უზრუნველყოფს უფრო ფართო არჩევანს, აფასებს შედეგებს და ამცირებს გადაწყვეტილების მიმღების გაურკვევლობას“²⁵. მსგავსი პროგრამული შესაძლებლობები, ასევე, გვთავაზობს პოტენციური მოწინააღმდეგე მხარის შესაძლო საპასუხო ქმედებების ნუსხას.

²³ იქვე.

²⁴ Lisa Ercolano, “Could Artificial Intelligence Make War and Peace Decisions?” Johns Hopkins University, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.11.2025, <https://shorturl.at/RD6AZ>.

²⁵ იქვე.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში უზრუნველყოფს „პროცედურულ სიზუსტეს“²⁶, ადამიანთა „წინასწარი რწმენების“²⁷ და „თანმიმდევრულობის ძიების ტენდენციების“,²⁸ ასევე შესაძლო კონფლიქტისა და დაბნეულობის გამომწვევი „სხვადასხვა ფასეულობების, ინტერესების, ხედვების და პრიორიტეტების“²⁹ ნიველირებას. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია წარმოაჩინოს გადაწყვეტილების სუსტი და ძლიერი მხარეები და „გააკეთოს გადაწყვეტილების შედეგების პროგნოზი“³⁰. რას ბერკოფი, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი მთავარი სტრატეგი და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ექსპერტი, აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში AI -ის გამოყენება შეიცავს რისკებს. ბერკოფი ასახელებს რამდენიმე პრობლემურ საკითხს: ნდობა AI - ის მიმართ; ხელოვნური ინტელექტის მოდელების მიერ გადაწყვეტილებების

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

მიღების პროცესის გაგების სირთულე, რაც ძალიან გავს ე.წ. “შავი ყუთის პრობლემას”; და AI - ის თავსებადობა და შესაბამისობა ადამიანურ მიზნებთან და ღირებულებებთან.³¹

მთავრობები აქტიურად ნერგავენ ხელოვნური ინტელექტის მოდელებს სამხედრო სტრატეგიების შესამუშავებლად, ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებისთვის, კრიზისების სამართავად, საკონსულო მომსახურების გასამარტივებლად და ასევე დიპლომატიურ მოლაპარაკებებში უპირატესობის მოსაპოვებლად. გადაწყვეტილების მიღების პროცესების სირთულის გამო ტრადიციულ მეთოდებს გააჩნიათ შეზღუდვები: „ხელით შესრულებული ანალიზი“, „სუბიექტური განსჯა“, „მასშტაბირების უნარის“ შეზღუდულობა და ნაკლებად “პროდუქტიულობა”.³² საყურადღებო გარემოებაა ის ფაქტი, რომ ხელოვნური ინტელექტის საფარ ქვეშ არსებულ ტექნოლოგიებს

³¹ იქვე.

³² Hamidreza Mostafaei, Shirin Kordnoori, Mohammadmohsen Ostadrahimi, and Saeed Seyed Agha Banihashemi, “Applications of Artificial Intelligence in Global Diplomacy: A Review of Research and Practical Models,” Sustainable Futures 9 (June 2025): 100486, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2666188825000565#bib0007>.

ფლობენ კერძო კომპანიენი.³³ გარდა ამისა, ვინც ქმნის ტექნოლოგიებს, არ გააჩნია ცოდნა საგარეო პოლიტიკის შესახებ და მათი ხედვა ეფუძნება ზოგად, გამოყენებით მოდელებს. შემთხვევითი არ არის აშშ-ის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში ასახული ინფორმაცია, რომ მომავალში თავდაცვის ხარჯები ორიენტირებული იქნება ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე.³⁴ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია სამხედრო ტაქტიკის სცენარების დატესტვა, რაც რეალურ სამხედრო ეპერაციებში უკეთეს მომზადებას განაპირობებს.³⁵

დასკვნა

³³ Cornelius Adebahr, “Why AI Will Change the Core of Foreign Policymaking,” October 11, 2023, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.11.2025, <https://shorturl.at/81ZQT>.

³⁴ Matthew Price, Stephen Walker, and Will Wiley, “The Machine Beneath: Implications of Artificial Intelligence in Strategic Decision Making,” PRISM 7, no. 4 (2018): 92–105, <https://www.jstor.org/stable/26542709>.

³⁵ Alice Saltini, “Assessing the Implications of Integrating AI in Nuclear Decision-Making Systems,” European Leadership Network, 2025, <http://www.jstor.org/stable/resrep67573>.

„დიდი ენობრივი მოდელების“ ინტეგრირება და გაწვრთნა საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ანაცვლებს დიპლომატიის ფუნქციებს. არსებული კვლევებით დასტურდება, რომ AI მოდელები სახელმწიფოების მიმართ სპეციფიკურ, მიკერძოებულ პრეფერენციებს ავლენენ და მის გამოყენებას აქვს როგორც დადებითი, ისე რისკების შემცველი შედეგები. გამოკვეთილი უარყოფითი ფაქტორებია: სახელმწიფოების მიმართ სპეციფიკური, მიკერძოებული მიდგომები; საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების დესტრუქციულობა; ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ლიდერების შეცდომაში შეყვანის მაღალი ალბათობა; კრიზისულ სიტუაციებში ესკალაციაზე ორიენტირებული ტენდენციების გამოვლენა; კონფლიქტურ სიტუაციებში აგრესიის განხორციელებისკენ მიმართული რეკომენდაციები; სწორი და დროული პროგნოზის გაკეთების უუნარობა; სწრაფი გეოპოლიტიკური მოვლენების ადეკვატურად გააზრების უნარის არქონა; ადამიანურ მიზნებთან და ღირებულებებთან შეუსაბამობა; ხელოვნური ინტელექტის საფარ ქვეშ არსებული ტექნოლოგიების ფლობა კერძო კომპანიების მიერ და ა.შ. AI - ის გამოყენების უპირატესობებია: საგარეო

პოლიტიკის სცენარების დატესტვის და დახვეწილი მოდელირებისა და სიმულაციების შემუშავების შესაძლებლობა; პოტენციური მოწინააღმდეგე მხარის შესაძლო საპასუხო ქმედებების ანალიზი გადაწყვეტილების მიღების პროცედურული სიზუსტე და ადამიანთა სუბიექტური აღქმის გამორიცხვა; სამხედრო სტრატეგიების, ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების, კრიზისების მართვის, საკონსულო მომსახურების გამარტივების და დიპლომატიურ მოლაპარაკებებში უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Adebahr, Cornelius.** “Why AI Will Change the Core of Foreign Policymaking.” October 11, 2023. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.11.2025. <https://shorturl.at/81ZQT>.
2. **Center for Strategic and International Studies (CSIS).** Jensen, Benjamin, Ian Reynolds, Yasir Atalan, Michael Garcia, Austin Woo, Anthony Chen, and Trevor Howarth. “AI Biases in Critical Foreign Policy Decisions.” *Commentary*. February 26, 2025. <https://arxiv.org/abs/2503.06263>.

3. **Ercolano, Lisa.** “Could Artificial Intelligence Make War and Peace Decisions? Engineering Instructor and Former NSA Strategist Russ Berkoff Discusses How AI Tools Could Prevent—or Escalate—International Foreign Relations Crises.” *Johns Hopkins University*. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.11.2025. <https://shorturl.at/RD6AZ>.
4. **Hoyos, Carlos Vera, and William Orlando Cárdenas Marín.** “The Use of Artificial Intelligence in Political Decision-Making.” *Philosophies* 10, no. 5 (2025): 95. <https://doi.org/10.3390/philosophies10050095>.
5. **Mirahmadi, Saeed, and Ali Omidi.** “Applications of Artificial Intelligence in Foreign Policy Decision-Making: Capacities and Challenges.” *Political Strategic Studies*. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.11.2025. <https://shorturl.at/C1LBz>.
6. **Mostafaei, Hamidreza, Shirin Kordnoori, Mohammadmohsen Ostadrahimi, and Saeed Seyed Agha Banihashemi.** “Applications of Artificial Intelligence in Global Diplomacy: A Review of Research and Practical Models.” *Sustainable Futures* 9 (June 2025): 100486. <https://shorturl.at/nkenU>.
7. **Price, Matthew, Stephen Walker, and Will Wiley.** “The Machine Beneath: Implications of Artificial Intelligence in Strategic Decision Making.” *PRISM* 7, no. 4 (2018): 92–105. <https://www.jstor.org/stable/26542709>.

8. **Saltini, Alice.** “Assessing the Implications of Integrating AI in Nuclear Decision-Making Systems.” *European Leadership Network*, 2025. <http://www.jstor.org/stable/resrep67573>.
9. **The Economist.** “The World’s Most Valuable Resource Is No Longer Oil, but Data.” 2017. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 19.11.2025. <https://shorturl.at/3jdsL>.

The Use of Artificial Intelligence in the Process of Foreign Policy Decision-Making

Lasha Kantelashvili¹ Giorgi Chkhikvishvili²

¹Assistant Professor of NEU National Educational University, PhD in Political Science lkantelashvili@neu.edu.ge

² Professor of NEU National Educational University, PhD in Political Science gchkhikvishvili@neu.edu.ge

Abstract

The formulation of foreign policy decisions requires the analysis of complex and diverse information, the assessment of risks, and forecasting. The role of artificial intelligence and its application in the process of foreign policy decision-making is a novel development that warrants investigation. Existing research indicates that the use of artificial intelligence in political decision-making is primarily oriented toward the consolidation of power and the achievement of objectives, which aligns with Niccolò Machiavelli’s worldview.

The process of creating and publishing scholarly articles often takes years, resulting in scientific literature that is frequently outdated by the time of publication. In contrast, the use of modern technologies enables the rapid dissemination of information and the continuous updating of knowledge, thereby reducing the time lag characteristic of traditional academic publications. The present study aims to highlight the potential advantages and disadvantages of using artificial intelligence in the foreign policy decision-making process through a review of the existing literature on the topic. The central research question of this paper is: what are the benefits and risks associated with the use of artificial intelligence in the process of foreign policy decision-making? The analysis reveals that, although artificial intelligence has not yet replaced the traditional process of formulating and implementing foreign policy, it offers numerous advantages while also carrying certain risks.

Keywords: Artificial Intelligence; Foreign Policy; Foreign Policy Decision-Making

მარკეტინგის ახალი რეალობა: ადამიანი და ხელოვნური ინტელექტი ერთ სივრცეში სოფიკო ალფაიძე

ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი, salpaidze@neu.edu.ge

აბსტრაქტი

თანამედროვე მარკეტინგი დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ციფრული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ხელოვნური ინტელექტის (AI) განვითარებამ შეცვალა მარკეტინგული საქმიანობის ფორმები, ინსტრუმენტები და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები. ორგანიზაციები სულ უფრო მეტად იყენებენ ალგორითმებს მომხმარებელთა ქცევის შესასწავლად, ბაზრის ტენდენციების პროგნოზირებისა და მარკეტინგული კამპანიების ოპტიმიზაციისთვის. ამ პროცესებმა წარმოშვა ახალი რეალობა, სადაც ადამიანი და ხელოვნური ინტელექტი ერთ სივრცეში მოქმედებენ. ჩნდება კითხვა: როგორ ნაწილდება მათი როლები და როგორია ამ თანამშრომლობის ეფექტი მარკეტინგზე? სტატიის მიზანია ამ საკითხის ანალიზი და იმ არგუმენტის დასაბუთება, რომ მარკეტინგის მდგრადი განვითარება ეფუძნება ადამიანის და AI - ის სინერგიას. სტატიაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის როლი თანამედროვე მარკეტინგის განვითარებაში და მისი

ურთიერთქმედება ადამიანურ სტრატეგიულ აზროვნებასთან. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესის პირობებში ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო აქტიურად გამოიყენება მონაცემთა ანალიზში, მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირებასა და მარკეტინგული პროცესების ავტომატიზაციაში. მიუხედავად ამისა, მარკეტინგში ადამიანის როლი ჯერ კიდევ რჩება გადამწყვეტ ფაქტორად, განსაკუთრებით კრეატიული გადაწყვეტილებების მიღების, ეთიკური შეფასებისა და ბრენდის ღირებულებების ფორმირების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, მარკეტინგი, ციფრული მარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა, ავტომატიზაცია, სტრატეგია

ციფრულ ეპოქაში მარკეტინგი სწრაფად იცვლება. თუ რამდენიმე წლის წინ მთავარი აქცენტი მხოლოდ მონაცემებზე და ტექნოლოგიებზე კეთდებოდა, დღეს ყურადღების ცენტრში დგას ახალი სინერგია - ადამიანური კრეატიულობა და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები ერთ სივრცეში. ეს უკვე არა მომავალი, არამედ ყოველდღიური სამუშაო რეალობაა, რომელიც კომპანიებს სრულიად ახალ წესებს კარნახობს.

თანამედროვე მომხმარებელი აღარ კმაყოფილდება მხოლოდ პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებით. მას სურს პერსონალიზებული გამოცდილება, ემოციური კავშირი და სწრაფი კომუნიკაცია.

ხელოვნური ინტელექტი სწორედ აქ ცვლის თამაშის წესებს:

- უზარმაზარი მონაცემების ანალიზი რეალურ დროში;
- მომხმარებლის ქცევის პროგნოზირება;
- კონტენტის ავტომატური პერსონალიზაცია.

თუმცა მხოლოდ ალგორითმები ვერ ქმნის ნდობას - ამას ისევ ადამიანი უზრუნველყოფს. ამიტომ წარმატებული მარკეტინგი დღეს ტექნოლოგიასა და ემპათიას შორის ბალანსზეა დაფუძნებული.

მიუხედავად ავტომატიზაციის ზრდისა, მარკეტინგის მთავარი ღირებულება ისევ ადამიანური ხედვაა.

ადამიანი ქმნის:

- ბრენდის ისტორიას;
- უნიკალურ ტონსა და იდენტობას;

- სტრატეგიულ მიმართულებას

ხელოვნური ინტელექტი კი ამ პროცესს აჩქარებს და აძლიერებს — მაგალითად, იდეების გენერაციით, ტრენდების ანალიზით და კამპანიების ოპტიმიზაციით.

ხელოვნური ინტელექტი მოიცავს ტექნოლოგიებს, რომლებიც კომპიუტერულ სისტემებს საშუალებას აძლევს შეასრულონ ისეთი ფუნქციები, რომლებიც ტრადიციულად ადამიანის ინტელექტს უკავშირდება. მარკეტინგში AI - ის გამოყენება ეფუძნება Machine Learning-ს, მონაცემთა დიდ მასივებსა და პროგნოზირებად ანალიტიკას.

AI - ის ძირითადი ფუნქციები მარკეტინგში ეს არის:

- მომხმარებელთა მონაცემების დამუშავება;
- ბაზრის სეგმენტაცია;
- პერსონალიზებული შეთავაზებების შექმნა;
- რეკლამის ოპტიმიზაცია;
- შედეგების გაზომვა რეალურ დროში.

ამ შესაძლებლობებმა მარკეტინგი გახადა უფრო ზუსტი და ეფექტიანი.

მიუხედავად AI - ის ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა, მიმდინარე მდომარეობით ადამიანი ჯერ კიდევ რჩება მარკეტინგის სტრატეგიულ ცენტრში. ადამიანის უნიკალური კომპეტენციებია:

- კრეატიული აზროვნება;
- ემოციური ინტელექტი;
- ეთიკური შეფასება;
- სოციალური და კულტურული კონტექსტის გააზრება;
- ბრენდის ღირებულებების ჩამოყალიბება.

AI ვერ იღებს ღირებულებით გადაწყვეტილებებს და ვერ განსაზღვრავს მარკეტინგული კომუნიკაციის ტონალობას მომხმარებლის ემოციებზე დაყრდნობით. ამგვარად, ადამიანი ასრულებს მედიატორის როლს ტექნოლოგიასა და მომხმარებელს შორის. ადამიანი და ხელოვნური ინტელექტი ერთ სივრცეში: თანამშრომლობის მოდელები მარკეტინგის ახალი რეალობა ეფუძნება ჰიბრიდულ მოდელს, სადაც ადამიანი და AI ერთობლივად მუშაობენ.

ძირითადი მოდელებია:

- ადამიანი - სტრატეგი, AI – ანალიტიკოსი

- AI - შემსრულებელი, ადამიანი – კონტროლიორი
- AI - მონაცემთა გენერატორი, ადამიანი – ინტერპრეტატორი

ამ თანამშრომლობამ გაზარდა მარკეტინგული პროცესების მოქნილობა და სიზუსტე.

მარკეტინგის ტრანსფორმაცია და მომავლის ტენდენციები

AI - ის ინტეგრაციამ გამოიწვია:

- მარკეტინგული პროცესების ავტომატიზაცია;
- მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიების გაძლიერება;
- ახალი პროფესიული როლების ფორმირება.

მომავალში მარკეტერი იქნება არა მხოლოდ შემოქმედი, არამედ ტექნოლოგიური პროცესების მმართველი.

ეთიკური და პრაქტიკული გამოწვევები

AI-ის გამოყენება დაკავშირებულია ეთიკურ საკითხებთან:

- მონაცემთა კონფიდენციალურობა;

- ალგორითმული მიკერძოება;
- მომხმარებლის ნდობა;
- გამჭვირვალობის პრობლემა.

ამ გამოწვევების მართვა შეუძლებელია ადამიანის აქტიური ჩართულობის გარეშე.

კვლევამ აჩვენა, რომ მარკეტინგის ახალი რეალობა ეფუძნება ადამიანის და ხელოვნური ინტელექტის ერთ სივრცეში თანამშრომლობას. მომხმარებელი ხშირად ვერ არჩევს, ადამიანი ელაპარაკება თუ ალგორითმი - და ეს უკვე ახალი ნორმაა.

საბოლოოდ, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ მიმდინარე ეტაპზე AI სრულად ვერ ანაცვლებს ადამიანს - ის აძლიერებს მას. AI ზრდის ეფექტიანობას და ანალიტიკურ შესაძლებლობებს, ხოლო ადამიანი უზრუნველყოფს სტრატეგიულ ხედვას, კრეატიულობასა და ეთიკურ პასუხისმგებლობას. მათი სინერგია წარმოადგენს მარკეტინგის მდგრადი განვითარების მთავარ საფუძველს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kotler, P., Kartajaya, H., & Setiawan, I. (2021). *Marketing 5.0: Technology for humanity*. Wiley.
2. Davenport, T. H., Guha, A., Grewal, D., & Bressgott, T. (2020). How artificial intelligence will change the future of marketing. *Journal of the Academy of Marketing Science*, 48(1), 24–42.
3. Russell, S., & Norvig, P. (2021). *Artificial intelligence: A modern approach* (4th ed.). Pearson.
4. Wedel, M., & Kannan, P. K. (2016). Marketing analytics for data-rich environments. *Journal of Marketing*, 80(6), 97–121.

The new reality of marketing: humans and artificial intelligence in one space

Sopiko Alpaidze

NEU National Educational University salpaidze@neu.edu.ge

Abstract

The article explores the role of artificial intelligence in the transformation of modern marketing and its interaction with human intelligence. In the context of rapid digital development, artificial intelligence is increasingly applied in data analysis, consumer behavior prediction, and the automation of marketing processes. Despite technological advancement, humans remain key actors in marketing, particularly in strategic thinking, creative decision-making, and ethical responsibility. The study aims to demonstrate that the new reality of marketing is based on the coexistence and collaboration of humans and artificial intelligence within a shared space. Such synergy enhances marketing effectiveness, supports informed decision-making, and contributes to the sustainable development of marketing practices in the digital era.

Keywords: artificial intelligence, marketing, digital marketing, automation, consumer behavior, strategy

მედიცინა და ხელოვნური ინტელექტი

ნუცა ცხვარიაშვილი

დიპლომირებული მედიკოსი, nutsatskhvariashvili@gmail.com

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტი არის მაღალტექნოლოგიური, ძლიერი პოტენციალის მქონე კომპიუტერული მეცნიერებების განხრა. იგი დღესდღეობით საზოგადოებას ყოველდღიურ დახმარებას უწევს როგორც პირად, ასევე პროფესიულ საქმიანობაში. უდიდესია ხელოვნური ინტელექტის როლი მედიცინაში დიაგნოსტიკის, ანალიზის და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების ასპექტებში. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა მისი ინტეგრაციის სარგებლიანობა და სიზუსტე ისეთი დაავადებების გამოვლენაში, როგორებიცაა სიმსივნე, დიაბეტური რეტინოპათია და დერმატოლოგიური პათოლოგიები. თუმცა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები და მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, მედიცინა, ჯანდაცვა

სამედიცინო სფერო დღესდღეობით დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რაც საკმაო ზეგავლენას ახდენს მის ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე. მსოფლიო მოსახლეობის ასაკის ზრდასთან

ერთად იზრდება ქრონიკული დაავადების სიხშირე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სამედიცინო მომსახურეობაზე პაციენტთა მოთხოვნილებას. საკმაო პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის დეფიციტი, განსაკუთრებით ისეთ მოთხოვნად სფეროებში, როგორებიცაა რადიოლოგია, ლაბორატორიული მედიცინა და თერაპია. ეს კი განაპირობებს კონსულტაციამდე მოცდითი დროის გახანგრძლივებას, დაგვიანებულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას. ასევე თანამედროვე ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. სამწუხაროდ, მსოფლიოს ყველა რეგიონი არ არის აღჭურვილი მაღალტექნოლოგიური სადიაგნოსტიკო აპარატურით და სამკურნალო საშუალებებით, რაც ხელს უშლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჰქონდეს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა.

საბედნიეროდ, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სამედიცინო სფეროში თანდათან გვეხმარება არსებული პრობლემების მოგვარებაში. მას აქვს ადამიანური ინტელექტისთვის დამახასიათებელი ისეთი უნარები, როგორებიცაა ანალიზი, პროგნოზირება და გადაწყვეტილების მიღება. მედიცინაში

დანერგილი ხელოვნური ინტელექტი ძირითადად ორი მიმართულებით მუშაობას, ესენია Machine Learning და Deep Learning. Machine Learning ალგორითმის ძირითადი მიზანია მონაცემების შეჯამება, ანალიზი და პროგნოზირება. რაც შეეხება Deep Learning მიმართულებას იგი უფრო რთულ მოქმედების სქემას ემყარება და უზრუნველყოფს გამოსახულებების და მონაცემთა სტრუქტურის დამუშავებას. ეს სისტემები სწავლობენ მიწოდებულ მონაცემებს, აკეთებენ მათ ანალიზს და გვაწვდიან სწრაფი, მაღალი სიზუსტის მქონე დასკვნას.

AL გამოყენების სფეროები მედიცინაში

დღესდღეობით ხელოვნური ინტელექტი მედიცინის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება. ესენია :

დიაგნოსტიკა და გამოსახულების ანალიზი- ხელოვნურ ინტელექტს აქვს უნარი Deep Learning ალგორითმის საშუალებით მოახდინოს სხვადასხვა ვიზუალური მონაცემების ინტერპრეტაცია და გაანალიზება. ეს ალგორითმი განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთ მიმართულებებში როგორებიცაა რადიოლოგია (CT, MRI, X-RAY),დერმატოლოგია (კანზე არსებული დაზიანებების ამოცნობა),

ოფთალმოლოგია (დიაბეტური რეტინოპათიის სკრინინგი), პათოლოგია. ასევე, Machine Learning Models შეუძლია 24 საათის განმავლობაში დააკვირდეს პაციენტის სასიცოცხლო ნიშნებს, შეკრიბოს მონაცემები სამედიცინო აპარტურიდან გულისცემის, სუნთქვის სიხშირის, სასიცოცხლო ნიშნების შესახებ და პროგნოზირება გააკეთოს ისეთი მძიმე გართულებების, როგორებიცაა სეფსისი ან სუნთქვის უკმარისობა.

მკურნალობის დაგეგმვა და პერსონალიზებული- ხელოვნურ ინტელექტს აქვს პაციენტის ისტორიაში არსებულ მრავალი მონაცემის მოკლე დროში ანალიზის უნარი. მას შეუძლია ლაბორატორიული, გენეტიკური და მრავალი სხვა გამოკვლევის მეთოდის შეკრება და ანალიზის საფუძველზე ექიმისთვის ყველაზე ოპტიმალური მკურნალობის მეთოდის შეთავაზება. ამ მიმართულების საშუალებით შესაძლებელია პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ყველა მცირე დეტალის გათვალისწინება და მკურნალობის შედეგად განვითარებული გართულებების მინიმუმამდე დაყვანა.

ადმინისტრაციული და ორგანიზაციული პროცესები-
დღესდღეობით დროის და მონაცემთა სიზუსტის მენეჯმენტში AI

განსაკუთრებულ როლს თამაშობს. მისი საშუალებით შესაძლებელი არის სადაზღვეო მოთხოვნების ავტომატური დამუშავება, ასევე ვირტუალური ასისტენტების ჩატ - ბოტების საშუალებით პაციენტებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს ინფორმაციის და რეკომენდაციების მიღება საჭირო საკითხებზე, რაც ამცირებს კლინიკაში დამატებითი ვიზიტების რაოდენობას. ჯანდაცვაში პროგნოზირება და ეპიდემიოლოგია-როგორც უკვე ავღნიშნე AI-ს აქვს მრავალი მონაცემის ერთდროულად დამუშავების უნარი. მას შეუძლია პაციენტების მიმდინარე ჩვილების და ლაბორატორიული მონაცემების შეკრება, შედარება და შესაძლო ეპიდემიის გავრცელების განსაზღვრა. ასევე ხელოვნურ ინტელექტს აქვს დიდი როლი დაავადების ეტიოლოგიის კვლევაში, მას შეუძლია განსაზღვროს ძირითადი გენეტიკური, გარემო და სხვა გამომწვევი ფაქტორები, რომლთა ერთობლივმა ზემოქმედებამ შესაძლოა დაავადების განვითარება განაპირობოს. დიდი როლის აქვს AI-ს ეპიდემიოლოგიაშიც, მისი დახმარებით შესაძლებელი არის დაავადების გავრცელების მასშტაბის, მიმართულების და ასოცირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრა. შესაბამისად, მინიმუმამდე მცირდება ეპიდემიების

გავრცელების ალბათობა და იზრდება პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობა.

სამეცნიერო კვლევები- ხელოვნური ინტელექტი ზრდის მრავალი მონაცემის ანალიზის საფუძველზე ზუსტი შედეგის პროგნოზირების ალბათობას. მისი დახმარებით მეცნიერებს შეუძლიათ გაცილებით მოკლე დროში სხვადასხვა ბიომარკერების და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება.

ეთიკურ - იურიდიული ასპექტები

ხელოვნური ინტელექტის ეფექტური დანერგვისთვის ჯანდაცვის სფეროში აუცილებელია მონაცემთა სანდოობის, ეთიკური თუ იურიდიული საკითხების მხედველობაში მიღება და ეფექტური დანერგვა. AI ალგორითმების მიერ მიღებული შედეგები ემყარება ჩვენს მიერ მოწოდებულ მონაცემებს, შესაბამისად არასწორმა ან არასრულად მიწოდებულმა ინფორმაციამ შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი რეკომენდაციების და პროგნოზის მიღება. ასევე მნიშვნელოვანია ექიმის როლის შენარჩუნება, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება არ გულისხმობს ექიმის ფუნქციის უკანა პლანზე გადანაცვლებას. პიქირით, საბოლოო გადაწყვეტილების

მიღება და პასუხისმგებლობა მედპერსონალს ენიჭება. შესაბამისად აუცილებელია AI-ს მიერ მიღებული შედეგების გადამოწმება და დარწმუნება რომ ისინი ემყარება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას. აგრეთვე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას აქტუალურია ისეთი ეთიკური საკითხის მნიშვნელობა, როგორიცაა კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა. მონაცემთა ხარისხიანობის, ალგორითმების სიზუსტის და ხშირი ტესტირებების შედეგის საფუძველზე რიგი ეთიკური და იურიდიული პრობლემების დაშვების ალბათობა მინიმალურია. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ჯანდაცვის სფეროში საჭიროებს მონაცემთა მიწოდების სიზუსტეს, მედპერსონალის მკაცრ კონტროლს და შესაბამის ეთიკურ-იურიდიულ ჩარჩოში მუშაობას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შესაძლოა ჯანდაცვის სისტემის მრავალი ასპექტი შეცვალოს, რაც მეტად პროგნოზირებად და უსაფრთხო მომავალს უზრუნველყოფს. მისი საშუალებით განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში შესაძლებელი არის ჯანდაცვა გახდეს გაცილებით ხარჯთეფექტური და პაციენტზე ორიენტირებული.

გლობალურად ხელოვნური ინტელექტი შესაძლებელია გახდეს ჯანდაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტი მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dóra Göndöcs ^a, Viktor Dörfler. March 2024;
2. AI in medical diagnosis: AI prediction & human judgment
https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0933365724000113?utm_source=chatgpt.com;
3. Nuo Xu , Dawei Yang , Kinji Arikawa , Chunxue Bai ^d. December 2023;
4. Application of artificial intelligence in modern medicine
<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2588914123000229>;
5. Hugh Logan Ellis, James TH Teo. December 2024. The influence of AI in medicine
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1357303924002329>

6. Daeun Chung. March 2025;
7. Artificial intelligence in healthcare and medicine technology development review
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0952197624019602>

Nutsa Tskhvariashvili

Medicine and Artificial Intelligence; nutsatskhvariashvili@gmail.com

Abstract

Artificial intelligence is a high-tech, powerful branch of computer science. It currently provides daily assistance to society in both personal and professional activities. The role of artificial intelligence in medicine is greatest in the aspects of diagnosis, analysis and clinical decision-making. Studies conducted in recent years have shown the usefulness and accuracy of its integration in the detection of diseases such as cancer, diabetic retinopathy and dermatological pathologies. However, we must definitely consider the ethical issues related to its use and the importance of ensuring data quality.

Keywords: artificial intelligence, medicine, healthcare



ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

© ყველა უფლება დაცულია “ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი”
2025

საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „NEU HORIZONS“, გამოიცემა წელიწადში ერთხელ. აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილი იქნება საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერების და სპეციალისტების კვლევები და პრაქტიკული მუშაობის შედეგები.